

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კავკასია“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 68

2020



მთ. რედაქტორი

ტრიზონ ზუხვა

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, საქართველოს
მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცენსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-875-5 (68 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირნება-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინისა“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბაღლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზიდენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დანი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მგრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰგავს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეტმა იქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონინდები სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახვეწილული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიმნიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლინი დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიგად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

გთავაზობთ, ამონარიდებს ვაჟა ეგრისელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ათასამდე ქართველ და უცხოელ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წიგნებიდან, სტატიებიდან, წერილებიდან:

ვაჟა ეგრისელის ლექსები მცირე ზომის ჩანახატებს წარმოადგენს, მეტაფორებითა და დრამატიზმით რომაა დამუხტული. მინიატურული სალექსო ფორმა პოეტისათვის სააზროვნო სივრცედ იქცა, რამაც ხელი შეუწყო თვითმყოფადი სტილის დამკვიდრებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა,

გაზეოთ „ლიტერატურული საქართველო“.

18 ოქტომბერი, 1991 წელი.

გრიგოლ აბაშიძე – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელი გამოკვეთილი ხმისა და მაძიებელი სულის პოეტია.“ („სილბო ნაქსოვისა“, 1991 წელი).



ელგუჯა ამაშუკელი – საქართველო სახალხო მხატვარი, პროფესორი: „...ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები” თუ მშობლიური ეგრისისადმი მიძღვნილი ლექსები, თამამად შეიძლება ითქვას, ღირსეულ დამფასებელს ელოდება და პოეტური ხილვები, სახეები, მეტაფორები ბეკრს შემოუბრუნებს მზერას თავისი ქვეყნის მშვენიერებისაკენ, მის სულიერებისაკენ, მიწიერი ტკივილებით აღსავსე სახესრული სილამაზისაკენ...”


აკაკი გაწერელია – პროფესორი, ლიტერატურათმოდნე: „ვაჟა ეგრისელის პოეზია ქართული სულის მარადიული ყიგილია. მისი შემოქმედება ნაკლებად ან სრულებით ვერ პოულობს ანალოგს ეროვნულ და მსოფლიო პოეზიაში... ვაჟა ეგრისელის მეტაფორული აზროვნება მიუწდომელი და განუსაზღვრელია... ვაჟა ეგრისელის სტილი ღრმადაა დაკავშირებული ქართული სალიტერატურო ენის უძველეს პლასტიკითან, კერძოდ, ბიბლიის (ძველი და ახალი ადოქთის) წიგნებთან. ამაში პოეტის სხვადასხვა ღროს გამოცემული წიგნების სახელწოდებებიც დაგვარწნუნებს: „სიცოცხლე,” „ამაღლება,” „ნათელხილვა,” „საგალობელი,” „იქმენ ნათელი!” და სხვა. „ფსალმუნი” და „ბიბლია” მარტო საკულტო ძეგლები როდია, ისინი ამავე ღროს უდიდესი მხატვრული ძეგლებიცაა.



...ვაჟა ეგრისელის პოეზიაში შემავალი სტილური ინგრედიენტები, როგორც ბარათაშვილისა, აქამდე უცნობი სამყაროს მოდელის შესაქმნელადაა გამოყენებული პოეტის მიერ. ამის შესახებ ბევრი ოქმული და დაწერილა, რაც მგოსნის უსამანო ინტელექტუალურ მასშტაბებზე მიგვანიშნებს და ნებას მაძლევს ვთქვა, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზია 21-ე საუკუნის რიჟრაჟზე ამომავალი ნათელია, რომელსაც ჩაქრობა არ უწერია.

არაფირა აკაპიტო – პოეტი (იაპონია): „...ყველა პოეტი ღვთის შვილია, მაგრამ ისაკავა ტაკუ-ბოკუ, ფედერიკო გარსია ლორკა, ვაჟა ეგრისელი, –ჩემი სულის ნაწილია...“

რევაზ მიშველაძე – მწერალი, პროფესორი: „ვაჟა ეგრისელმა წლების განმავლობაში მიგვაჩვია თავის ლექსე. ეს გახდავთ აღმოსავლური მონიატურული ნახატივით მცირე ზომის, მეტაფორუებითა და დრამატიზმით დამუხტული პოეტური ჩანახატი. პოეტმა ამ ფორმის ერთგულებით მოახერხა თანამედროვე მკიონეველის განწყობილებასთან მისადაგებული და თავბრუდამხვევი სიჩქარით დაღლილი მოქალაქესათვის ადვილად აღსაქმედი მცირე მოცულობის ლექსით მშვენივრად მოეტანა ჩვენამდე თავისი პოეტური სათქმელი. ნატიფი ხელწერითა და ნათელი სახეებით ჩამოქნილ-ჩამოგვირისტებული სხარტი სტრიქონები





თითქოსდა ლიტერატურული ქამანდი გახდავთ, უეც-
რად რომ შეგაჩერებს, თავისი სიმოკლითა და ლაპი-
დარულობით ყურადღებას რომ მიგვაქცევინებს, მერე
უაღრესად თანადროული და ეროვნული პოეტური
აზროვნებით გაიძულებს, ჩამოჯე და პოეტის ფიქრი
გაიზიარო, მის სტრიქონებთან დამე გაათიო...”

ლევან სანიკიძე – მწერალი, პროფესორი: „საქარ-
თველოს ხომ რამდენი ხანია პოეტთა ქვეყანას უწო-
დებენ. ყოველ შემთხვევაში, საქართველო სავსეა
„სემი პოეტებით“ – „ნახევარ პოეტებით“ მაინც დიდ-
მა პოეტმა პორაციუსმა რომ თქვა ორიათასი წლის
წინათ. ხოლო, „პოეტი სრული“ – საქართველოში
მოიძებნება ოდენ თითზე ჩამოსათვლელი, მათ შორი-
საა ვაჟა ეგრისელი. იგი ჭეშმარიტად დიდი პოე-
ტია...”

გიორგი სიჭინავა – მწერალი, ჟურნალ „აიას“
მთავარი რედაქტორი: „...ვაჟა ეგრისელის დიდებულმა
პოეზიამ ამამაღლა და დამარტიუნა იმაში, რომ ეგ-
რისელი, როგორც კოლები, ღირსეული შთამომავა-
ლია აიეტის, გუბაზის, ფარტაზის და დიდი ცოტნე
დადიანისა...“

ნუგზარ ნადარაძა – ფაზისის მეცნიერებათა აკა-
დემიის პრეზიდენტი: „... ვაჟა ეგრისელი – სიცოც-
ხლეშივე ქართული ერის და მისი ძირძველი მხარის
– სამეგრელოს უკვდავებად ქცეული ლეგენ-



დაა, ილია ჭავჭავაძისეული უმტკიცესი ბურჯი და აკაკი წერეთლისეული ჩონგურის გაუწყვეტელი სი-მია... „კოლხური ფსალმუნებით“ დედა საქართველოს მეხოტბე, დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწეა...“

ნიკოლოზ სიანოვი – მწერალი, შორეული ნაოს-ნობის კაპიტანი: „დედამიწის თითქმის ყველა კონტი-ნეტის ნაგსადგურში, სადაც კი შევსულვართ, ყველ-გან ჩვენი საყვარელი პოეტების: სერგეი ესენინის, ფედერიკო გარსია ლორკას, ისიკავა ტაკუ-ბოკუს და ვაჟა ეგრისელის წიგნები დაგვიტოვებია საჩუქრად...“

რეზო ადამია – მხატვარი, მწერალი: „...კოლხური ცივილიზაციის უცნაური მოვლენა – ვაჟა ეგრისე-ლის პოეზიის მარადმწვანე ველზე ბიბლიურ ხედ აღმოცენდა და მისმა არნახულმა ნაყოფმა უზომოდ გაამდიდრა დღევანდელი ქართული ცივილიზაციის საგანძური. ვაჟა ეგრისელს რამდენიმე ათასი წლის წინათ კოლხეთში რომ ეცხოვორა, უთუოდ ისევ დიდი პოეტი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ვარ-სკვლავთ მრიცხველი იქნებოდა...“

სოკრატ არშბა – პროფესორი: „...ეგრისელის უაღრესად ეროვნული შემოქმედება, მსოფლიოს ნე-ბისმიერი დიდი ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურას დაამშვენებდა...“

ევგენი აქუბარდია – მწერალი: „...როგორ იქნება, ვაჟა ეგრისელის ათასგვერდიანი „იქმენ ნათელი“ გა-



დაშალო და შთამბეჭდავმა მეტაფორებმა, ხატოვანმა თქმებმა, მშობელი ცისა და მიწის თვალმარგალი-ტებმა არ გაიზიარონ ჰეშმარიტ პოეზიას: „ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს.” და არ აღიარო: „ვიქმენ ნათელი!”, „პოეზია უპირველეს ყოვლისა!” აბა, პრემი-ებით არც დიდი გალაკტიონი გაუნებივრებიათ, - თუნდაც თუ გაწითლებულა ვინმე, ეგ რა მოგვსლი-აო...”

გურამ კუპატაძე – აკადემიკოსი: „... ეგრისელის ზოგიერთი „ფსალმუნი“ კოსმიურია და ბევრი სინათ-ლის წელი დასჭირდება მის დედამიწამდე ჩამოლწე-ვას...”

ნუგზარ სართანია – ინუინერი: „...ქართული პოე-ზიის რაინდის – ვაჟა ეგრისელის პოეტური ენერგია ენგურჲესის კაშხალია, პრეიისტორიული კოლხეთიდან თანამედროვე, ისტორიულ სამეგრელოში (საქართვე-ლოში) გადმოხეთქილი და მირიად სხივად გაბრწყი-ნებული, რომელსაც ძალუმს წყვდიადით მოცულ სამყაროს ნათელი მოჰკინოს...”

ჯემალ აჯიაშვილი – პოეტი, მთარგმნელი: „არ მშორდება და მუდამ თან დამდევს ვაჟა ეგრისელის: „და...ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი, მოშურნეთათვის ჩემი მამულის, არის საყვირი იერქონის!“- ჰეშმარი-ტად!“



შოთა ბადრიძე – პროფესორი: „ფიქრმიუწდომებლია ვაჟა ეგრისელის მეტაფიზიკური პოეზია...”

ოთარ ბერაძე – პროფესორი: „ვაჟა ეგრისელმა, ამ მაღალზნეობრივმა და ღვთიური ცეცხლით გულანთებულმა პოეტმა, ახალ სიმაღლეზე აიყვანა უძველესი და უმშვერიერესი ქართული პოეზია...”

მერაბ ბერიძე – დრამატურგი: „...თავაწეულმა უნდა იაროს ვაჟა ეგრისელმა, რადგან სულ ერთი ნაბიჯია დიდების მწვერვალამდე...”

მურმან ბერია – პროფესორი: „მეოცე საუკუნეში, გალაკტიონისა და ტერენტი გრანელის მერე, ყოფნა-არყოფნის, მარადისობისა და წარუვალობის, სულის მარადიულობის მტკიცნეულ პრობლემებს ვაჟა ეგრისელის დარად არცერთი ქართველი პოეტი არ შესჭიდებია...”

ხუტა ბერულავა – პოეტი: „ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტია”...

აკაკი ბერიძე – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელის ლექსები – მინატურული ვულპანებია, საიდანაც მეტაფორებისა და ეპითეტების ლავა იფრქვევა...”

ზაურ ბოლქვაძე – პოეტი: „სანამ საქართველო იქნება, ვაჟა ეგრისელის პოეზიაც იცოცხლებს...”



ნანა ბოხუა – პოეტი: „ვაჟა ეგრისელის პოეზია – ფენიქსია მითიური კოლხეთის ფერფლიდანაა აღმდგარი და დღევანდელობაში მოფრენილი.“

ემირ ბურჯანაძე – მხატვარი: „როგორც სვეტიცხოველმა ქართული ცა, ისე აამაღლა ვაჟა ეგრისელმა უმშვენიერესი ქართული პოეზია...“

გიორგი გაჩეჩილაძე – კრიტიკოსი, პროფესორი: „ახალი თაობის პოეტებმა ოცდამეტოვე საუკუნეში ვაჟა ეგრისელისებურად უნდა დაიწყონ წერა...“

ნოე გელაშვილი – პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი: „ეგრისელის პოეზიას მზერა მიწისაკენ კი არა, უფრო ცისკენ გაურბის და განსაცვიფრებელ სიახლეებს გვთავაზობს...“

აკაკი გელოვანი – მწერალი, მთარგმნელი: „ბუნებისა და ადამიანის ცოცხალი კავშირი, ვაჟა-ფშაველას პოეზიაში რომ უმაღლეს ასახვას პოულობს, ვაჟა ეგრისელის ათას გვერდიან ერთტომეულში „იქმენ ნათელი“ სულ სხვა, თვისებური შინაარსს იძენს, მაგრამ აქაც იგრძნობა კლასიკური პოეზიის ერთგულება... და ორი დიდი პოეტის სულიერი ნათესაობა...“

აკაკი გეწაძე – მწერალი: „ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტური ენერგიის კალმოსანია. ვაჟა ეგრისელი არის ვაჟა ეგრისელი, თვითმყოფადი პოეტი, რომელსაც თავისი სამყარო გააჩნია...“



გივი გვერდაძე – პროფესორი: „მდიდარი და მრავალსპექტრიანია ვაჟა ეგრისელის პოეტური სამყაროს შექმნის ხერხი. მისი მხატვრული პალიტრა გამოირჩევა ფერგბის სიუხვითა და ტონალობის სიფარიზით, სხივგამტარი ალეგორიებით და ცხოვრებისეული შედარებებით...“

შალვა ილურიძე – საქართველოს სახალხო არტისტი: „პროფესორ ტიტე მოსიას მივბაძავ და ვიტყვი: „შოთას და ვაჟას ფერა პოეტია ვაჟა ეგრისელი.“

გიორგი ლარიაშვილი – მოქანდაკე: „ვაჟა ეგრისელის ლექსები – მინიატურული ქანდაკებებია, მეტაფორული აზროვნების უმაღლეს პოსტამენტებზე მდგარი...“

თენგიზ გოგოლაძე – მწერალი: „ვეფხისტყაოსანის“ მერე რა უნდა დაწერილიყო?! დაიწერა! „განთოადის“ მერე რა უნდა დაწერილიყო?! დაიწერა! ბევრი რამ დაიწერა, რადგან დაუშრებელია პოეზიის წყარო. დაუშრებელი, უხვი, სიცოცხლითა და იმედებით სავსე... ერთმა ვაჟამ უხვად დაიბერტყა პოეზიის მარგალიტები... ახლა მეორე ვაჟა იბერტყავს უხვად პოეზიის მარგალიტებს...“

ვაჟა ეგრისელზე მოგახსენებთ... მე მის ლექსებს უშრები წყაროს მარგალიტებს დავარქმევდი – დრმა-აზროვანს, ფილოსოფიური წახნაგებით და სიტყვა-წყობის მუსიკალურობით.



იხარე პოეზიის ქვეყანან – საქართველოვ!
„იქმენ ნათელი!”

ირაკლი გოგოლაური – პოეტი: „თუ ვაჟა ფშავე-
ლამ მთები – „გადმოხარა და ხელ-პირი დაბანინა
წყალზე,” ვაჟა ეგრისელმა ზღვები: „ფეხისწვერზე
დააყენა და მთებს იქით გადაახედა...”

გახტანგ გოილაძე – პროფესორი: „ათასწლეუ-
ლებში მიძინებული ბერძნულ-კოლეური მითები გა-
აღვიძა ვაჟა ეგრისელმა ქართულ პოეზიაში...”

ნიკოლოზ გორბაჩოვი – მწერალი, რუსეთი: „თა-
ვისი განუმეორებელი პოეზიით ვაჟა ეგრისელი, რუს
პოეტთან ყველაზე ახლოს ფეოდორ ტიუტჩევთან
დგას...”

ჯოდორ დადიანი – პროფესორი: „...ვაჟა ეგრისე-
ლის ლირიკული ქმნილებები ქართული პოეზიის
ოკეანეა...”

თამარ დაოშვილი – პოეტი: „...არცერთ თანამედ-
როვე პოეტს არ დაუნახავს ზე-სამყარო იმ თვალით,
რა თვალითაც დაანახა ვაჟა ეგრისელმა...”

გიორგი გაშაპიძე – გაზეთების: „გეიკო ექსპრე-
სი”-სა და „მოზაიკის” მთ. რედაქტორი: „ნიჭიერება
უდიდესი განძია ადამიანისათვის, მისი მფლობელის
– ვაჟა ეგრისელის შემოქმედება არის და იქნება მა-



ნათობელი, მოკაშვაშე ვარსკლავი მრავალსაუკუნო-
განი ქართული პოეზიისა...”

ფარსადან თოფურია – მწერალი, უურნალისტი:
„ვაჟა ეგრისელი დიდი შემოქმედია...საქართველოში
არ მეგულება ისეთი პოეტი, რომელიც ასე ნაყოფიე-
რად მოღვაწეობდეს და პოეზიის ასეთ მარგალიტებს
ქმნიდეს...”

აკაკი თოფურია – კრიტიკოსი, ლიტერატურათ-
მცოდნე, პროფესორი: „ქართული ლირიკული პოეზიის
ედემისებურ ბალში – ვაჟა ეგრისელი შემოვიდა
როგორც პოეტი-გამოცანა, პოეტი-მოვლენა, პოეტი
ნოვატორი...”

გივი ინწკირველი – პროფესორი: „რაც და რამ-
დენიც ვაჟა ეგრისელზე იწერება, იმდენი დიდმხე-
დართმთავრებზეც არ დაწერილა ალბათ...”

ილია ქავერაძე – პოეტი: „ვაჟა ეგრისელის პოე-
ზია მიმაჩნია მსოფლიო თანამედროვე ლიტერატურის
შენაძენად...”

იოსებ ქაპანაძე – პროფესორი: „ეგრისელის პოე-
ზია არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიო ტიტანების
შემოქმედებას...”

გალტერ გაშია – პროფესორი: „ვაჟა ეგრისელმა
ახალი მეტაფიზიკური სივრცეები გადაუშალა პოე-
ტებსაც...”



ოთარ კუპრავა – პოეტი: „ვაჟა ეგრისელმა არა
მარტო ახალი მხატვრული სახეებით, მეტაფორებით
გაამდიდრა ქართული ლიტერატურა, არამედ სრული-
ად ახალი ვერსიფიკაცია შემოიტანა პოეზიაში...”

შოთა ლომსაძე – პოეტი, პროფესორი: „ვაჟა ეგ-
რისელი, თავისი ყველასაგან გამორჩეული, საკუთა-
რი ხელწერით, ორიგინალური ხმით, მოვლენათა
ხედვის მასშტაბურობით და იდუმალი ხილვების
უნარით, უკანასკნელი პერიოდის ქართულ პოეზიაში
თავისებურ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული...”

შოთა მამარადაშვილი – პროფესორი: „შეიძლება
გაბედულად ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელის აპოსტილ-
ბია 20 საუკუნის პოეზიის პლანეტარიუმში...”

რევაზ მარგიანი – პოეტი: „სვანეთი, სადაც
„მთებს ბილიკები დალის ნაწნავებით ჰქიდია“, ვაჟა
ეგრისელმა განუმეორებელი ეპითეტებით შეამჯო...”

ელგუჯა მაღრაძე – მწერალი, მთარგმნელი: „რა-
საც ვაჟა ეგრისელზე წერენ, ყველაფერი სწორია და
სიმართლე, რადგან იგი ჭეშმარიტად დიდი შემოქმე-
დია...”

გოტე მელაშვილი – მწერალი, პროფესორი: „გა-
ლაკტიონ ტაბიძემ, მუხრან მაჭავარიანმა, ვაჟა ეგრი-
სელმა, თითეულმა ცალ-ცალკე თავისებური რევო-
ლუცია მოახდინეს პოეზიაში – მხატვრული გამომ-



სახველობის მოდელის თუ სტილის, ხერხის თუ ხმის შემოტანითა და დამკვიდრებით...”

თემურაზ მიძმუანი – პროფესორი: „აღმოსავლეთ საქართველოს პყავდა ვაჟა ფშაველა, დასავლეთ საქართველოს პყავს ვაჟა ეგრისელი... ერთიანი, მთლიანი საქართველო ბუნების მომდერალი, ორი დიდი მგოსნის მშობელია...”

ლილი მიცევიჩი – მუცნიერ-ფილოლოგი: „ადამ მიცევიჩის „ფარისივით” ამაღლებულია ვაჟა ეგრისელის პოეზია...”

შალვა მჭედლიშვილი – მწერალი: „ვაჟა ეგრისელის ათასგვერდიანი კრებული – „იქმენ ნათელი!” მე ვიტყოდი, მზესავით ამობრწყინდა ქართული პოეზიის ცაზე. მან ბევრი ახალი თქვა, უპირველეს ყოვლისა კი წარმოაჩინა, რომ რუსთაველის ქვეყანაში, მიუხედავად მის გზაზე ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებებისა, პოეზია მუდმივ წინსვლას განიცდის, სულს ახლებურად ითქვამს, ახალ ფერსა და ხორცს იძენს. როგორც მლოცველი სასოებით შეაღებს ხოლმე ქრისტეს ტაძრის კარს, მკითხველიც ასევე მოკრძალებით გადაშლის ამ წიგნს და ისე შევა პოეტის წმინდათა წმინდა სამყაროში, მგოსნის სიტყვებით რომ ვთქვათ „მის კარ-მიდამოში...”

შოთა ნიშნიანიძე – პოეტი: „ვაჟა ეგრისელმა კარგა ხანია დაიმკვიდრა თავისი პოეტური ხელწერა.



მისი ლექსი ჩვეულებრივ მინიატურულია, მაგრამ ტე-
ვადი. იქ ვერ აღმოაჩენთ სიცარიელეს. მისი ხილვები
მეტაფორის პრიზმაშია გამოტარებული და მხატვრუ-
ლი ორნამეტივით აღიქმება...”

იოსებ ნონეშვილი – პოეტი: „ვაჟა ეგრისელის,
როგორც ნიჭიერი მგოსნის სახელს მალე მთელი სა-
ქართველო გაიგებს...” (1961წ.).

მურმან პაპაშვილი – პროფესორი: „როგორც ლო-
მის ბოკვერში ოვლემს მხეცთა მეუკ, ასევე ვაჟა ეგ-
რისელის მინიატურებში კუთავს პოეზიის დაუოკებე-
ლი ვნება...”

სულხან ულრდანია – პროფესორი, კრიტიკოსი:
„ვაჟა ეგრისელის ლექსები ცრემლებივით წმინდა და
სპერაკია...”

ალექსი რაზიკაშვილი – პოეტი, ვაჟა ფშაველას
შვილიშვილი: „მიხარია, რომ მეოცე საუკუნეში, ვაჟა
ფშაველას მერქ, ბუნებისა და სამყაროს თავისებუ-
რად აღქმნელი, კიდევ ერთი დიდი პოეტი შეემატა
ქართველ მწერალთა რიგებს... რაც დრო გავა, უფრო
მეტი ბრწყინვალება მოემატება მის პოეზიას, რო-
გორც ამომავალ მზეს... ვაჟა ეგრისელის შემოქმედება
ჰგავს მაღალი მთიდან გადასახედს – მომავალში...”

ილია რურუა – მწერალი: „ვაჟა ეგრისელის ყოვე-
ლი ლექსი თითქოს აგებულია ატომიულის მოდე-



ლით, რომლის შეკუმშული ენერგიაც ცენტრიდანული ძალის მოქმედების კანონზომიერებით მკითხველის ფანგაზიასა და გრძნობას განიზიდავს ფეოქტებადი, თვალის მოქრელი სხივოსნების შემცველი განფენილობისაკენ...”

ნოდარ ტაბიძე – პროფესორი: „ვაჟა ეგრისელი – კაცი გაჩენილი ლექსისთვის, სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის...”

მორის ფოცხიშვილი – (პოეტი): „ვაჟა ეგრისელმა პეგასი, როგორც თარაშ ემხვარმა ულაყი, პოეზიის აბობოქრებულ ენგურში შეაგდო...”

ზურაბ ქაფიანიძე – სახალხო არტისტი: „როგორც ასომთავრულის, – შუმერთა უძველესი ანბანის, ასეთივე აღმოჩენა იყო ჩვენთვის ვაჟა ეგრისელის უდიდესი პოეზია.”

გურამ შარაძე – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელის პოეზია – მეტაფორული აზროვნებების აბსოლუტური ნოვაციაა.”

ოთარ შალამბერიძე – პოეტი: „ვაჟა ეგრისელი არასოდეს არ ყოფილა რომელიმე აშკარა თუ ფარული კასტის წევრი, არასოდეს აჟყოლია მოდურ რეფორმებს. მოდის თავისით და თავის სათქმელს ამბობს. მოჰყვება თავის ფიქრის მდინარეს... და შთაგონებას, ვით ლექსის ძიძას ეფიფინება, როგორც



ბავშვი, რომელმაც უცხო თოჯინას მოჰკრა თვალი. მისი პოეტური ყაბახი მისივე ბიოგრაფიაა, დაწყებული სწორედ იმ ომის დროინდელი ბავშვობიდან, კერიასთან გასაშრობად მიკიდულ ერთადერთ პერანგს რომ შესციცინებს..."

სიმონ შამფრიანი – პოეტი: „...უშბა, შხარა და თეთნულდი, ვაჟა ეგრისელმა საქართველოს ცას-კარიადიტებად შეუყენა..."

ომარ შამათავა – პოეტი, პროფესორი: „...თამარ მეფის მეხოტე თუ რუსთაველი არ იქნებოდა, ვაჟა ეგრისელს ვისურვებდი..."

ვაჟა შერვაშიძე – აკადემიკოსი: „...ვაჟა ეგრისელის პოეტური სამყარო უკდეგანოა: დაწყებული შავი ზღვის ნაპირებიდან – წყნარ ოკეანემდე. ცელებისისა და იავას კუნძულებიდან – კილიმანჯაროს და ჰიმალაის მთებამდე. სპარსეთის და არაბეთის უდაბნოდან – უსურისა და ტაიგის უღრანამდე. ნაგასაკის ნამწვრებიდან – ტროას ნანგრევებამდე. ეგრისის, შორაპნის და ციხეგოჯის სიმაგრეებიდან – ეგვიპტის პირამიდებამდე და ბაბილონის გოდოლამდე. აბას-თუმნის ობსერვატორიიდან – ირმის ნახტომამდე და ოტარიდამდე. ვაჟა-ფშაველადან – ჰომეროსამდე, რუსთაველიდან – გალაკტიონ ტაბიძემდე და ლადო ასათიანამდე. შორეული მითოსიდან – ბიბლიამდე და შემდეგ ატომისა და წყალბადის ბომბებით, ათასი



კატაკლიზმებით გაგულისებულ მეოცე საუკუნის მხის მიწურულამდე და მესამე ათასწლეულის თვალუწვდენელ გადასახედამდე...“

ბაჩუკი ჩაბრაძე – პოეტი: „დვორის საიდუმლოებას ნაზიარებმა პოეტმა ვაჟა ეგრისელმა თავის შემოქმედებაში – მისტიური სული განასხეულა და შეხსნა კოსმიური კარიბჭე მიწიერ ცოდვათა დასავანებლად...” პარიზი, 1999წ.

მიხეილ ჩაბუკა – პოეტი, პროზაიკოსი: „დავიმახსოვროთ – 1993!

საქართველოს ისტორიაში ამ ერთ-ერთ ავტედით წელს – სისხლის წვიმებისა და ტოტალური უზნეობის ჟამს, – ღირსშესანიშნავი კულტურული მოვლენის მოწმენი გავხდით: დაისტამბა ვაჟა ეგრისელის უზარმაზარი ერთტომეული... ვაჟა ეგრისელი თავის ერთ-ერთ ლექსში წერდა: „მოვა პოეტი ნიჭის რაშე ამხედრებული და ათასწლეულს გადიჯირითებს.“ და აი, მოვიდა პოეტი იგი.



* * *

წარსულის დიდო მემატიანებ:
ჩემო მტკვარო და
ჩემო ენგურო,
ტობავარჩხილო და რიწავ!
ვითარცა ცოტნებ,
რომ გიერთგულო,
ეგრისელის –
ეგრისელობას ვფიცავ!

1989

პოლევთის ისტორია

ასჯერ ასი ზღვა მძვინვარებს,
ამდენივე მთები არის.

ცხრა იმდენი მინდორია.

სადღაც,
ეამთა ცხრაპლიტულში
წევს კოლხეთის ისტორია.

1962



ძრისტე – ლერწი

ცრემლით მორწყულ მოსავთ
ლოცვებს,
არყოფნის ცის არეალი,
თუმც რწმენა კვლავ გადადის
ხიდზე ბეწვის.
გენახია –
მარიამი,
ქრისტე – ლერწი.

1967



დედამიწა

ვინც მძინვარ ზღვებს და
ოკეანეებს
თვალები მისცა და აუხილა
და დააყენა მთები ნაბულზე –
წვენი საწყალი დედამიწა
ბებერ კრუხივით,
მზის პალოზეა ისევ დაბმული.

1972



* * *

მარადისობის საცრიო გაცრილი,

უბრწყინავთ დამით

მწვანე თვალები,

მსგავსად ბუების და ებგურების,

და ვარსკვლავები მზით გადამწვარ

ცის უდაბნოში –

დილამდე უხმოდ დატანტალებენ

და სიცხით ეწვით ფეხისგულები.

1974



* * *

წვემოშვებული ერთი ღრუბელი –
კოლხთა წარმართულ
მოჰავს დგთაებას
და ურწმუნოთა რისხვას აპირებს.
გულისფანცქალით ელის
ნაპირი,
ზღვაზე ქარიშხლის ათავთავებას.

1985



* * *

პონტოს ზღვა გახლავთ ისტორია –
ძველი კოლხეთის
და ტალღებს –
ფურცლებს,
ქარიშხალი (მუდამ თავხედი)
სწრაფად და ურცხვად,
იღუმალ ფურცლავს
და წამითც შიგ არ გვახედებს.

1968



ლაზელი

ბრწყინავს თასი გრაალის
და როგორ არ მიკვირდეს,
როცა ვხედავ სულს და
ხორცეს
ერთმანეთში აზელის.
მე,
ვით მგოსანს, მარადისს –
სასუფეველს მიმკვიდრებს
ორთავ სოფლად დაზელი.*

1988

* დაზელუ – საღვთო სიბრძნე



სიკვდილს გეჩვევით ყოველდღიურად

წამსვე გააღო პირი სამარემ,
წვენი წილი ცა —
როცა აგრგვინდა,
ისიც აღრინდა, როგორც ტყიური.
გვინდა,
არ გვინდა,
სიკვდილს ვეჩვევით ყოველდღიურად.

2006



სული ნაზარეველის

ის ძე იყო ადამის...
სანამ ამაღლდებოდა,
 ტანთ ემოსა ტყაპუჭი
მწყემსისა თუ მეველის
და მის ნაფეხურებზე იღვიძებდნენ
 იები.

ახლა ცის კაბადონზე
კვლავ ყვავილობს
მთიებად —
 ტანჯვის ცრემლით მორწყული
სული ნაზარეველის.

1978



* * *

ომაგბრუძგნულ ქარიშხალს
სურს თავი კლდეს
ახალოს,
მჩატე ჭიუის ღრუბლები –
ცაში დაირქილებენ.
ზღვა კი იცვამს ულურჯეს
ღელვის ჩოხა-ახალუხეს,
დამშვენებულს ქათქათა
თოლიების –
ქილებით.

1969



ქართული ასომბი

(დისტიქტი)

I

ესეც უფლის არის ნება,
რომ ქართულის ღვთაებრივი
თანხმოვანნი,
ხმოვანებიც:
ასო თცდაცამეტივე –
არის ქრისტეს ხნოვანების.

II

ციური, ვით ანგელონი
ასო თცდაცამეტივე –
უკვდავების გზას რომ მისდევს,
„ქ“-ნი არის მარიამი
„ჯ“-ნი თვითონ გახლავთ ქრისტე.

1962

* * *

დღე და დამე გაყრილან და,

ვარსკვლავები –

წვრილ-წვრილ შვილნი,

დედას, – დამეს მიმხრობიან.

დრო გასულა ბევრზე ბევრი.

გზე და მოვარე –

წყვილი ცრემლი,

ცას –

თეთრ-წითლად მიხმობია.

1969



* * *

ელვის ჭიხვინით მზეს კვლავ მისდევს
რემა ღრუბლების

და ეშინია უკან მოხედვის,
მე ზღვიდან ვისმენ ვერძების ბლავილს.
მორჩა!

გათავდა!
ჩემი კოლხეთის,
უღრან წარსულში დღესაც უნდა
დაგპარგო თავი.

1964



* * *

ელვის მხურვალ ხელს მიწვდის,

შორიდან ვცნობ –

დიმილს ძის,

მზე რომ ახლავს სხვა ნიშნის.

უდაბნოსკენ მიმიძღვის –

ცხელი სუნთქვით

ქარიშხლის.

1964



მოგვიანი, ნიბრი, ური

გავგასიის მთიდან,
ჯერ კვნესა არ ისმის
გმირის,
ცხოვრებად საამური.
და სამეფო დუღს ინგირის¹ –
ერებეთით,²
ნიბრუ³
ურით.⁴

1968

¹ ინგირი – მეგრელთა (ქართველთა) „ქართუს“ ქვეყანა.
^{2,3,4} – მსოფლიოს პირველი კოლხური (ქართული)
ქალაქი.



* * *

დრუბლების შავ გიგანტებს,
ყრუებსა და
ცალთვალებს –
ელოდებათ წინ უფსკრული.

აი,

ახლა, ცას მოვარე,
ვარსკვლავებითაა მიღურსმული.

1957



მიწად და ზეცად

ალბათ იქნება წყალობა უფლის:
ზამთარში თოვლად,
ზაფხულში წვიმად,
მარადისობა ტანზე რომ გეცვას.
და სიყვარულით –
დაიდო ბინა
მიწად და ზეცად.

1978



* * *

შენს მეაკვნე აიასთან,¹
რა ხელი აქვს თარი-თარალს,²
ქვესენელში რომ შავად კუთავს.
შენ მზის ღმერთი – უტუ გფარავს,
ცის ღვთაება –
გწყალობს თუთა.³

1963

¹ აია – შემერული (იგივე კოლხეური) ქალ-ღვთაება.

² თარი-თარალი – ქვესენელის მეუფე.

³ თუთა (მეგრ.) მოვარე.



დედაბოია დედამიწა

როგორ უბრჭყვიალებს ზამთარს
ყინვის სამხრეები,
სპეტაკი თოვლის სამეფოში
ვერ მოიცავდა და ჩამოვიდა...
დედაბოძია დედამიწა და...
უჭირავს ცა მხრებით.

1968



ვიჩორი

„ადგილსა და გალ-გალას ზედა
წოდეულსა ბორცვა“.

ისე ნაგვა

(წიგნი „ძველი აღთქმისანი“. გვ. 39)

ხალიბი რომ რკინას ჭედდა,
ბორცვი იდგა აქ ამ ადგილს.
(დღეს მას ადევს ოქროს ფასი)
აღარსად ჩანს ღმერთი – გაგი,
ნაჭკადუს და
ნაკარღალსი.

1999

¹ სოფელ ფიჩორში (გალის რ-ნი) არქეოლოგიური გათხ-
რების დროს ნაპოვნი იქნა უნიკალური ნივთები დისკო-
სებურ თავიანი საკინძები, დუგმა, შების, ისრის, სატე-
ვარის პირები და სხვა. (ძვ. წ. აღ. მეოთხე ათასწლეუ-
ლი).



* * *

გამოქვერისას თეთრით მოსილი,
აქ, მთვარე მოვა,
როგორც ლაზარე,
რომელიც მკვდრისფერ
ღელვაში ცხოვრობს,
ზღვა ტაძარია —
უზარმაზარი,
სადაც გალობს ზეირთების ქორო.

1974



* * *

სიცოცხლე –

წოლაა მხართებოზე
და მოლოდინია აფრენის.

სიკვიდილი?!?

სიკვდილი გვერდის
მონაცემლებაა,
სხვა არაფერი!

2003



ମାର୍ଗତ୍ୱବିଜ୍ଞାନ

გურძემიაგ¹ და სალხინოვ,²
ერთხელ კიდევ მომალხინე,
ერთხელ კიდევ გამაოცე,
მერე მიწას ჩამაკონე,
რომ ატირდეს ვახა,³
ოჩე,⁴
ჟინოთა⁵ და თამაკონი.⁶

2002

^{1,2,3,4,5,6} – სოფლები მარტვის რაიონში.



* * *

ანაფორა ჩაუცვამთ და ღრუბლებს
გადაუხდიათ მთვარისათვის
პანაშვიდი
და საცეცხულურს მიიქნევს ელვა,
ცა და ვარსკვლავები,
რომ დაამშვიდოს,
ზღვა ზე იწევს და
უმატებს დელვას.

1996



შურიგე¹

უფალსავით დიდებით,
ისევ ისე მოსავენ...
ის კი თავის სიმღერებს
ლოცვებივით ურიგებს,
ქართუს² მეფე-მგოსანი,
ერესელი შურიგე.

1979

¹ შურიგე – ქართუს (ქართველთა) მეფე XVIII ს. წვ. წ. ად., რომელსაც გადმოცემით ეკუთვნის ლექსი – „ერესელი“ და მისი მუსიკაც.

² ქართუს (ქართველთა სამეფო, რომლის ქალაქები იყო ერესეთი, ნიბრუ, ური, ბაბილონი და სხვ.. (წვ. წ. ად. მეორე ათასწლეული).



პაპანდევილე*

ისმის კვნესა წარსულიდან –
ლეგენდამ თუ სინამდვილემ,
სამუდამოდ აქ ჩაყვინთა.
ეამს მწუხარისას გულმოკლულად,
ვიღაც მოთქვამს
მალთაყვიდან.

2001

* პაპანდევილე – მღვდლის ჩაძირვის ადგილს უხმობენ
კოლხეთში.



სამოცი

ვით ჰერაკლემ,¹
მეც ავგას,²
ამ ცხოვრების ვწმინდე თავლა,
და გავუძელ...
მიკვირს კიდეც.
დღეს სამოცი მიინავლა,
რაც სიკვდილი მიკირკიტებს.

2001

¹ ჰერაკლე - ბერძენი (პელაზგი) გმირი.

² ავგა - ელადის მეფე.



ჩემი ფილოსოფია

ამას არ უნდა სიბრძნე პლატონის:
სად დღე იწყება,
დამე თავდება.
უდმერთოებთან სხედან ღმერთები.
და მომავალი არის წარსული,
ყოფნა,
არყოფნა მუდამ ერთდება,
რადგან ერთია დასაწყისი და
დასასრული.

1996



* * *

ზღვა სულ უნდა დელავდეს,
ავდარი თუ დარია.

ზეირთი უნდა წვდებოდეს
მყინვარწვერს და დარიალს.
აბა,
მითხარ, რა ზღვაა,
არ დელავს და მკვდარია.

2002



ბზა და ბზა

ქართლში თუთარჩელაა,
ეს სოფელი ქანდაა.
ვიღაც ამბობს ჯიუტად:
დამეს მოვარე –
თან დააქვს,
ვით გვადრუცი* იუდას.

1966

* გვადრუცი (მოძლ.) ყულაბა. „რამეთუ გვადრუცი
აქუგნდა იუდას“ ოთხ.



* * *

უფლისაგან მონათლული –
ქარდუებად და
ქართებად,
უფლის გზებით მოვდიოდით.
და გზას ლოცვით გვინათებდა –
ჩვენი კოლხა,¹
ჩვენი ოდი.²

1963

¹ კოლხა – უუძველეს ქართველთა-კოლხთა დათავტა.

² ოდი – შემდგომინდელი (კოლხთა) ქართველთა
წარმართული დათავტა



* * *

(გარიანტი)

რომ შემახსენოს მტრის მტრობა,

წარსულის კარს არ მოვხურავ,

დე,


ჩანდეს სისხლის მორევი,

სამშობლოვ!

მე, ძველ კოლხურად,

მხარზე პილავ გეამბორები.

1971



* * *

სხედან ცაში ღმერთები
და სიშორის სიობლით,
გულ-მკერდს კვლავ
იღედავენ...
და მთვარის და მზის ბორბლით,
დდეს და დამეს ღერდავენ.

1968



ოუთისოფელი

მოკვდავნი ზოგჯერ
შავს და თეთრს
ვერ ვარჩევთ,
აგრემც მოგიკვდება თავი.
შავია და თეთრ კბილებს
აჩენს,
მიტომაა წუთისოფელი შავი.

2001



* * *

მოვარდნილი ქარიშხალი,
იმ ღრუბლებს შორს
მიაქანებს,
წუხილი რომ ზღვას ასტუმრა.
დილა აცლის
მძინარ ღამეს
მთვარის სპეტაპ თაგსასთუმალს.

1979



* * *

ცის თუ მიწის პირიდან,
მანც ვეღარ აგვიან –
შენს ფიქრს დღეთა
ცოცხები,
რადგან ლექსით კვდები და,
ოსეგ ლექსით
ცოცხლდები.

1990



შუქად გამოიკვირტა

ბაცი იცავ,
ღმერთკაცი,
არაფერი გიკვირდა,
მხელოდ ერთხელ გაოცდი,
როს ცის ხეზე ვარსკვლავი,
შუქად გამოიკვირტა.

1964



საცამ შენ მეგულები

ღვთისგან ჩაუქრობელი
ცეცხლი,
დარდი ჟლევი,
მიკიდია აბედად.
სანამ შენ მეგულები,
სიკვდილს როგორ
გავბედავ!

1998



გილგამეში

ხუთი ათასწლეულია,
ნიღოსის პირ-კედრის ტყიდან
და არესის დიდ ჭალებში,
ნადირის ტყავ-კაბიანი,
— ვოო,
ენქიდუუ!
ისევ ისე,
კოლხურად ხმობს გილგამეში.

1969



* * *

პარას ჭალაში დგანან ძეწნები,
აპრილის წვიმით
დავარცსნილები,
რომელთაც უკვირთ:
ნაძვის ტოტებზე,
როგორ ეხრდებათ გირჩებს
ფრჩხილები.

1968



* * *

အခါ,

နျော်စွဲ^{*} —

ကုလ္ပာတာ ခြေထံမို့၊

ရှေ့မလ္လာ ဒာရာ၏သွေး လာမာနဲ့ ခြေထံမို့၊

ဒါတာရင် ဖျော်စွဲး၊

ဝါယာ ပျော်စွဲး

ကုလ္ပာတာ ၇၁၈၆၂၅၀.

1969

* နျော်စွဲ (များ) စွဲ များ.



* * *

დედა არჩანს...

პირდაბჩენილ
ლელვებს მოსტებიათ ყინწი.
მაგრამ ბაღჩის თვალისხინი:
აქეთ პიტნა ხელვებს მიწვდის,
და იქით კი დარიჩინი.

1959



ბრონიულის ხე სასაფლაოსთან

აბალახებულ ბებერ ლოდებთან,
ჭრიჭინობლების ისმის
ჭრიჭინი,
იქვე სამარის მიწა იჭრება.
ბრონიული კი
გლეხის ბიჭივით,
სასაფლაოზე გადმომდგარა და
იცრიჭება.

1961



* * *

ზღვისპირ ანთია კოცნის კოცონი
და ეპარება თვალებს
სისველებ;
შენი სახე კი წუხს ღვთაებრივი.
ჩემი ვნების ზღვა ვეღარ
ისვენებს
სურს გადალახოს
ნდომის ჯებირი.

1979



* * *

დღე და ღამე კი ერთად ბუდობენ,
ვით სიჩუმეში ზღვა და
ზღვაური,
ვითარც სკილა და ვითარც ქარიბდა.
და...
ღამ-ღამობით ისმის
ხმაური –
გაქვავებული მთვარის ნიჟარიდან.

1966



ჩემო ცული საყვალო

ნელ-ნელა გცილდება
მიწაა თუ ტალახი,
ჩემო სულო –
საწყალო!
აშ გაქვს გადასალახი:
ცხრა მთა,
ცხრა ზღვა,
ცხრა წყარო.

2006



* * *

ელვა ისე იღრინება,
თითქოს და ცა დარჩათ
მხეცებს,
რომელთა ტყავს მზე სევდეს.
აწ თვალს ვერვინ
დაგიბეცებს,
რუსთველივით —
ზემხედველს.

2007



* * *

ნასახლარზე ხელდაკრეფით
ზის და მიმზერს ქვლავ
ფარულად –
გარდასული დრო –
თავხედი.
არც დედა ჩანს,
და არც ძიძა,
მიტოვებულ ჭას ჩავხედე
და...
ბავშვობამ გაიღვიძა.

1968



* * *

ბალახის დერებს ამოყვება სული –
სიმწვანედ,
მაგრამ მარტოკა დარჩენილმა
ბნელ აკლდამაში,
მიცვალებულის რა ქნას ომა-წვერმა,
როდესაც უამი თამაშ-თამაშით,
საფლავის ქვაზე შემორჩენილს
წაშლის წარწერას.

2005



ALBERTSU

* * *

ოცი საუკუნის მერეც,

პომპეუსის —

ურდოების,

მესმის ცივი ლაპარაკი

აქ, —

მცხეთის ლურჯ სანახებში,

სადაც ერთვის მტკვარს —

არაგვი.

1969



300 ପ୍ରେରଣୀତାତ୍ତ୍ଵାତ୍ମକ

მთვარე წვეთ-წვეთად ამბობს
სინათლეს
და ვარსკვლავები ვეღარ ბაძავენ.
დამეულ ტყეებს ეფარება მზე
გიო ყაჩაღი.
გიო პეროსტატეს სურს ცის ტაძა
დაწვას...
და ცეცხლი უქრობელი
კვლავ გააჩაღოს.

1996



* * *

მზე კი თავისთვის ამბობს სინათლეს
და ჩადის ჩუმად

და დღეს აღამებს.

ისმის კაპუნი, კოდალები

თითქოს ხეს ჭრიან.

სოფლის შარაზე ქოფაკების ისმის

ლავლავი

და მისდევს შიში ურმების ჭრიალს.

1975



შუა ხორბის სასაფლაო

აქ განისვენებს დოროთე,
ჯებე,
ჯუბუ და ევსები,
მოვიდნენ...
სიკვდილს იმკიდნენ.
თვალები ცრემლით ევსაებათ:
ტირიან სოფლის სიფლიდეს,
ჩემი საწყალი ლექსები.

2007



* * *

ყოფილა სათარეშო –
ქარიშხალთა და ქართა,
ასე კარგი და ტურფა
კოლხეთი ბევრჯერ მდგარა –
სიკვდილ სიცოცხლის
ზღვართან,
მაგრამ უხსნია უფალს!

1973



300 ፎጋግል

დარდით დახურულ ამ ცისქვეშეთში,
სიკვდილ-სიცოცხლის
გრძელდება დავა,
რადგანაც ყოფნა,
არყოფნის ნადავლია.
და ფარნით ხელში
კარდაკარ დაგალ,
ვით დიოგენე, ვეძებ ადამიანს.

2001



არის მცირე მოსაცდელი

მღვრიე ქამმა დამწინდველი,
ვით ბრძანებდა ბრძენთა-ბრძენი

მთაწმინდელი*

(სანამ იმ დიდ ასას** ველით!)

— დედამიწა არის მცირე სამყოფელი —

დიდ სოფელში

წასასვლელად.

1997

* გიორგი მთაწმინდელი.


** ასას (აფხაზ.) ხტუმარი.



ებრისის მთებაში

ფირალებივით წელში მოხრილი,
ეფარებიან ხეებს ხეები,
შორით ტყე მოჩანს
შიშის მთესველი,
ახლოს კი შავი ხახა უფსკრლის.
მიუვალ კლდეზე
გადამხმარი ხეთა ფესვები –
ძველ ხელმწიფეთა,
ვით მიაგავს ნაწერს ლურსმულით.

1981



პრეზიდენტი

შეაზანზარა მთელი ქვეყანა
ძემ პელიოდის –

კოლხები აქციამ.^{*}
ის ღმერთმა სიკვდილს ვედარ შეჰვარა,
მარადისობამ თუმცა ზურგი
ბევრჯერ აქცია.

1969

* კოლხები აქციამ (აქციუსმა) მამის საპატივცემულოდ
XXXIII ს.-ის წინათ ეგვიპტეში „პელიოდენტრი“ დაარსა.



ወጪዎች የወጪዎች ተስተካክል

უვახშოდ და უვალოდ,
დაგვიტოვა ეს საწუთო,
ერთადერთმა რუსთაველმა.
მე მახსენებს მითრა* ვალებს.
და შორიდან ბუსთვალება
ვიღაც, ისევ მითვალთავლებს.

1973

* მითრა – სიმართლისა და სიკეთის დვობაება.



* * *

სიმყუდროვეში მდგარმა ქუხილმა,
ელვა თაღებზე გასდო
ლარტყებად,
იმერეხა და დიდხანს იწვიმა...
მერე უეცრად,
ქარწულივით ცამ
ცისარტყელა,
მარცხენა მკლავზე გადაიწვინა.

1986



სამყარო მს მეცოფაგება

მარადისობის ბჭესთან მისული,
გადავიწყებას ვინც ამარიდა,
ირიბად მიმზერს მეც

უკვდავება.

როდესაც მიწას დავმზერ მთვარიდან,
სამყარო ესე –

მეცოტავება.

1968



საჩიხო პარათაშვილი

მსურს კოჯრის გზაზე შემოვხვდე
მტერ-გამცემ ყორდანაშვილებს
და ისე, როგორ ქნა მაშინ,
ბარათაშვილმა საჩინომ:
გულიყარის კლდით გავტყორცნო
და მეფე სვიმონ პირევლი,
როგორმე გადავარჩინო.


1971



* * *

ჩვენსკენ ჩუმად რომ მოიტყორჩნება,
ელვა კი არა,
ისარია ალბათ ამურის.
და ქარიშხალი სადღაც გაფრინდა.
ბრწყინავს და ელავს
ცა – საღამური,
წვეთავს სინათლის ცივი ჰანგი
მთვარის არფიდან.

1971



შეზვარებული იყვნენ ღმართებიც

მზე —

მთვარეს,

ზევსი — პერას ეტრფოდა,

შეყვარებული იყვნენ ღმერთებიც.

ვნების მახვილი აპოლონმა

ვეღარ ჩააგო!

ამ ქვეყანაზე ტრფობის ცეცხლი

მუდამ ენოება,

ნამდვილ სიყვარულს —

თვით სიკვდილიც

ვეღარ ჩააქრობს.

1972



* * *

წუთისოფელი ისე ირევა,

როგორც ფუტკარი

ახალ ნაყარი...

შენ, ეს ცხოვრება განა დაგლლიდა,

რომ არ გენახა ესე სამყარო,

სხვათა უხილავ თვალებით და

სხვა სიმაღლიდან.

1986



დღევას იზობაზ

ბედნიერებამ ზურგი გაქცია,

მიჰქრის ცხოვრება...

რას იქმ!

ეჭ, მარჯა!

ცა დამეს ბეჭდავს ვარსკვლავებით

და პგავს რიზოგრაფს.

სურდაფულივით ყოფნის წლები

შემოგეხარჯა

და ამიტომაც დღეებს იზოგავ.

2005



* * *

მზე —

დროშასავით გეჭირა ხელში,
და სამშობლოს მტერს ებრძოდი
მუდამ,
ვითარცა ზევსი სტყორცნიდი არგანს.
შენ,
ქვეყნად დიდხას იცოცხლო უნდა,
რადგან სიკვიდილის უფლება არ გაქვს.

1991




* * *

რუსთველის მზის გადგას გვირგვინი,
სამყაროს წვდება შენი მშვენება.
სამშობლოვ! –

შენი ხარ ციხე სურამის,
და მზადა ვარ, ვითარც ზურაბი,
შენს დიდ კედლებში
ჩასაშენებლად.

1961



* * *

ჩემი მზითმოსილი დღეები,
არყოფნის კარებში გადიან
და წამით ვერ ვასწრებ
შეხედვას,
ორმოცი წელია მწადია –
ჩემს ლამაზ სიკვდილთან
შეხვედრა.

1981



* * *

სიშორისა და სიცივის,
ქარ-ქაოსიდან მოსული,
ბნელში ხეტიალს
არ იშლის:

ცა —
ვარსკვლავებით ორსული,
და ზღვა —
ფემხმიმე ქარიშხალით.



60შ0

ფეხდაფეხ დაგდევს წერამწერალი,
ბედისწერის კი მაინც არ გჯერა
და წინ მიიწევ გოლიათის
მძლავრ ნაბიჯებით.
კაცთა მოდგმისთვის ნიჭი არის
დიდი სასჯელი,
და შენ პოეტო,
უფლისაგან მიტომ ისჯები.

2001



* * *

შეტყოფუნვარე და წელში მოხრილი
ეს მთვარე,
ალბათ ჩემი ხნის არის
და დააბერა დრომ უამურმა.
ჩარჩენილი მაქვს გულში
ისარი,
რომელიც ყმაწვილს მტკორცნა
ამურმა.*

2004

* ამური (ბერძ.) სიყვარულის ღმერთი.

* * *

სადღაც მიღმიერ ღამის ნაპირთან
და სიახლოვეს მთვარის სავანის –
ვარსკვლავიერი ისევ ჰყვავის
შენი ჭალები.

და სად სიცოცხლის არ ჩანს სამანი,
იქ,
შენი გული სიყვარულად
შეიმჭვალება.

1989



* * *

მივიწყებული ზამთრის ბაღები,
გაიღვიძებენ და კვლავ
ფარულად,
ვარდების გვირგვინს მზით დაიწნავენ.
და...
გაზაფხულის წვიმის
თქარუნით –
კარს შეულწავს ტყეებს სიმწვანე.

1971



სიყვარული, გითარცა ქვაზი

რომ უმკურნალე წარსულს კოლხეთის,
შავი ზღვა მიტომ შემოგეკედლა
და სიყვარული,
ვითარცა ქვაზი,
კვლავ მიგაციელბს მიმწუხრის გზაზე,
კაცს,
სიცოცხლეში ქცეულს ლეგენდად.

2002



ოცნება

შურსა და სიძულვილს თესავნე
და აღარ იციან ბრიყვებმა,
რომ შენი ლამაზი ოცნება –
